„გოსთ თაუნების“ წარმოშობის მიზეზები / გუნკანჯიმა

ილია გამისონია

თანამედროვე არქიტექტურა და მდგრადი განვითარება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **გიორგი ზაუტაშვილი**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ილია გამისონია

25.06.2020

აბსტრაქტი

პლანეტაზე ადამიანის არსებობის დღიდან, იგი მიისწრაფოდა მისთვის აუცილებელ საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად, სადაც თავს დაცულად იგრძნობდა. დროთა განმავლობაში ეს კრიტერიუმი იცვლებოდა და უკვე აღარ წარმოადგენდა მარტო სივრცეს, ბუნებრივი მოვლენებისგან თავის შესაფარად. ჩნდება ისეთი შენობა-ნაგებობები როგორებიცაა: საკულტო, ინდუსტრიული, საგზაო ინფრასტუქტურა და ა.შ. რა თქმა უნდა ამ ყველაფერს არაერთი ასწლეული დაჭირდა.

ზემოთ აღნიშნულ პროცესს გააჩნია თავისი უარყოფითი მხარეებიც. XVIII საუკუნუს შუა წლებიდან იწყება მსოფლიოში ინდუსტრიული რევოლუცია, რომელიც პირველ რიგში გულისხმობდა მრეწველობის, ტექნოლოგიებისა და ტრანსპორტირების გაუმჯობესებას, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების დონეზე და ეკონომიკაზე დადებითად ასახულიყო. ამ ყველაფრისთვის საჭიროა შესაბამისი შენობა-ნაგებობები და შესაბამისად იწყება სამშენებლო რევოლლუცია. ჩნდება ახალი სივრცეები: ქარხნები, მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბლოკები, სადგურები და ა.შ. თუმცა შენობის საექსპლუატაციო დროს წარმოადგენს რამოდენიმე ათწლეულს და სწორედ აქედან იწყება პრობლემა, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ვხვდებით უამრავ მიტოვებულ და უფუნქციოთ დარჩენილ შენობა-ნაგებობებს და ზოგ შემთხვევაში

მთლიან კვარტლებსა და ქალაქებსაც კი, რომელებიც ამახინჯებენ გარემოს და გარკვეულ საფრთხესაც წარმოადგენს გარშემო მყოფთათვის.

ერთ-ერთ ასეთ მიტოვებულ ქალაქს წარმოადგენს გუნკანჯიმას კუნძული იაპონიაში. ნაშრომი შეისწავლის მის მდგომარეობას და გაიაზრებს მასთან დაკავშირებულ პრობლემეთა ასპექტებს, რომლებსაც თავს მოუყრის დასკვნის სახით და წარმოადგენს კვლევის ძირითად მონაპოვარს სამომავლო პერსპექტივებთან ერთად.

ძირითადი საძიებო სიტყვები: დაუსახლებელი ქალაქები, კატასტროფრბი, ინდუსტრიული რევოლუცი, ინფრასტრუქტურა, გეგმარება.